

UNKNOWN PAGES OF BATUMI HISTORY


(Review of Prof. Zaza Shashikadze's book –
“Two Ottoman Defters About Batumi”, Tbilisi, 2024)

ბათუმის ისტორიის უცნობი ფურცლები

(გამოხმაურება პროფ. ზაზა შაშიკაძის წიგნზე –
„ორი ოსმალური დავთარი ბათუმის შესახებ“, თბილისი, 2024)

ირაკლი ბარამიძე

ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
საქართველო, ბათუმი ე. ნინოშვილის ქ. N35
ORCID: 0000-0001-7540-7006
erekle1770@hotmail.com
+995 577 30 40 20



2024 წელს გამომცემლობა „უნივერსალმა“ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოსცა სოლიდური წიგნი – „ორი ოსმალური დავთარი ბათუმის შესახებ“ (თურქულიდან თარგმნა, შესავალი, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა შაშიკაძემ). კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ აკადემიკოს სერგი ჯიქიას გაკვალულ გზას დღეს ღირსეული გამგრძელებელი ჰყავს ბატონი ზაზას სახით. შეუძლებელია არ მოგხიბლოს იმ ტიტანურმა შრომამ და ენერგიამ, საქმის ცოდნამ და სიყვარულმა, მაღალმა პასუხისმგებლობამ და აკადემიურობამ, რაც ამ წიგნიდან გამოსჭვივის. იგი ქართული საისტორიო მეცნიერების

ნამდვილად ძვირფასი შენაძენია.

სხვათა შორის, პროფ. ზ. შაშიკაძის დიდი ძალისხმევით აჭარის (და არა მარტო) ისტორიის ოსმალური პერიოდის შესახებ ჩვენი წარმოდგენა თანდათან უფრო მკაფიო ხდება. დღევანდელ საქართველოში იგი ფაქტობრივად ერთადერთია, ვისაც შეუძლია მკვდარ ოსმალურ ენაზე, სიაკათის ურთულესი ხელით შესრულებული დოკუმენტების ამოკითხვა-გაშიფრვა და ისიც გვანებივრებს ახალ-ახალი გამოცემებითა და ფუნდამენტური გამოკვლევებით („აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები“, 2011; „ლალა მუსტაფა ფაშას ვაყუფნამეები საქართველოს შესახებ“, 2021 და სხვ.). „ორი ოსმალური დავთარი ბათუმის შესახებ“ ამის ერთი, ნათელი დადასტურებაა.

წყაროს გამოქვეყნება ყოველთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ ესაა საფუძველი ობიექტური კვლევის. წყაროებზე მიუწვდომლობა, მკვლევრის სამართლიანი შენიშვნით, ხშირად ქმნიდა საფუძველს გაჩენილიყო მცდარი მოსაზრებები, ან სულაც არ გვექონოდა წარმოდგენა ამა თუ იმ მოვლენასა თუ ფაქტზე (გვ. 5). მაგალითად, ათწლეულების მანძილზე

მიჩნეული იყო, რომ რაკი ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ფისკალური მიზნით შედგენილ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ (1595 წელი) აჭარა არ იყო შესული, თითქოს იმ დროისათვის ამ რეგიონზე პირდაპირი ოსმალური გავლენა არ არსებობდა. სწორედ ზ. შაშიკაძის მიერ მიკვლეული დოკუმენტების ანალიზმა ცხადყო, რომ ეს მოსაზრება რეალობის შეუსაბამოა. ამიტომაც, გამოკვლევასთან ერთად წყაროების სააშკარაოზე გამოტანა დაინტერესებულ მკითხველს პირუთვნელი ანალიზის საშუალებას აძლევს.

წარმოდგენილ შემთხვევაში, მისასაღმებელია, რომ პატივცემულმა მკვლევარმა, ორი ოსმალური დავთრის ფოტოპირებთან ერთად, გამოკვლევას დაურთო მათი გაციფრულებული (ბეჭდური) ოსმალური ვერსია და პირდაპირი ქართული თარგმანი. ამით მან დატოვა ფართო შესაძლებლობა (დღეისათვის ძალზე ვიწრო ჯგუფისთვის), გარკვეული კითხვების არსებობის შემთხვევაში, თარგმანში მოცემული ცალკეული გეოგრაფიული, თუ საკუთარი სახელი, ან ნებისმიერი მონაკვეთი გადამოწმდეს დოკუმენტის დედანსა და მის ამოკითხულ (ციფრულ) ვარიანტებში.

წიგნი საკმაოდ დიდი მოცულობისაა, შეიცავს A4 ფორმატის 551 გვერდს და შედგება ორი ნაწილისგან: 1. „ბათუმის ლივის ვრცელი დავთარი“ (ქართული თარგმანი, ოსმალური ტექსტი და ფოტოები); 2. „ბათუმის ლივის მოკლე დავთარი“ (ქართული თარგმანი, ოსმალური ტექსტი და ფოტოები). როგორც ამ დონის აკადემიურ გამოცემას შეეფერება, ახლავს შესავალი, დავთრების მიმოხილვა, ინგლისური რეზიუმე და ტერმინთა განმარტებები.

შესავალში მოკლედ განხილულია ბათუმისა და რეგიონის ისტორია ოსმალთა ბატონობამდე – ქართული და თურქული წყაროების მიხედვით. ამ ნაწილში პროფ. ზ. შაშიკაძე გამოთქვამს ერთ, ძალიან საყურადღებო მოსაზრებას (როგორც თავად წერს, ჯერ მხოლოდ ვარაუდისა და საკითხის დასმის დონეზე) ბათუმის ლოკალიზაციის პრობლემასთან დაკავშირებით, რაც არაერთი მეცნიერისა და მკვლევრის (მათ შორის ჩვენი) ინტერესის საგანი გამხდარა. მრავალწლიანი მეცნიერული კვლევისა და ბათუმთან დაკავშირებული არაერთი ოსმალური დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე ავტორი ფიქრობს, რომ ტოპონიმი ბათუმი „არ მოიცავს მხოლოდ ლოკალურ ტერიტორიას, სადაც დღევანდელი ქალაქია გაშენებული (ნავსადგურის მიმდებარე – „ძველი ბათუმი“), არამედ იგი გეოგრაფიული სივრცეა – „მხარე“, „ქვეყანა,“ რომელიც უნდა მოიცავდეს ზღვისპირა ტერიტორიას მდინარე დეხვადან, საფიქრებელია სარფის ზღუდემდე და შედის მდ. ჭოროხის აუზში, როგორც ჩანს სოფელ მირვეთამდე ისტორიული კლარჯეთის საზღვრამდე“ (გვ. 10). საკითხის ამ ჭრილში განხილვა ნამდვილად არ არის საფუძველს მოკლებული და შემდგომი კვლევა, ვფიქრობთ, არსებითად დაადასტურებს აღნიშნული მოსაზრების სისწორეს.

რაც შეეხება დავთრებს. საგადასახადო მიზნით შედგენილი ეს დოკუმენტები მრავალფეროვანი ინფორმაციის შემცველია და მოიცავს ისეთ ასპექტებს, როგორცაა რეგიონის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული, რელიგიური მდგომარეობა გარკვეულ პერიოდში. აღსანიშნავია, რომ ზ. შაშიკაძე წარმატებით აგრძელებს ს. ჯიქიას, ც. აბულაძის, მ. სვანიძის, ნ. შენგელიას მიერ ოსმალური დავთრების გამოცემის პრაქტიკას. რა თქმა უნდა, ყველა დავთარი უნიკალურია და საინტერესო პირველწყაროს წარმოადგენს წარსულის რეკონსტრუქციისთვის. მათში დეტალურადაა მოცემული რეგიონის კომლობრივი აღწერა,

დასამუშავებელი მიწა, ბალ-ვენახი თუ საძოვარი, მიწისმფლობელობის ფორმები, სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ყოველივეზე შეწერილი გადასახადები და სხვ.

1704 წელს შედგენილი ვრცელი დავთრის გეოგრაფიული არეალი მოიცავს დღევანდელ ბათუმს, მის მიმდებარე, ბათუმის ლივას დაქვემდებარებულ 14 სოფელს და სამ ნაჰიეს (თემი – სოფლების გაერთიანება), მათ შორის დღესაც თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებში მოქცეულს. თვალსაჩინოა, რომ პროფ. ზ. შაშიკაძემ ფასდაუდებელი შრომა გასწია ქართული საკუთარი სახელების (ტოპონიმებისა და ანთროპონიმების) ამოკითხვის საქმეში და წარმატებით დაძლია არა მარტო რთული ოსმალური (კონსონანტური), გაკრული ხელი, არამედ მასში დიაკრიტიკული ნიშნების არარსებობა, რაც ქართულ ფონეტიკასთან შეუსაბამობის კვალობაზე კიდევ უფრო მრავალვარიანტულს ხდის ქართულ შესატყვისს. ამ შემთხვევაში მხოლოდ ოსმალურის ცოდნა ვერაფერი ნუგეშია, თუკი არ იცნობ მხარის გეოგრაფიას, ტოპონიმიკას, ონომასტიკას. მთარგმნელისა და გამოკვლევის ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ჩაულრმავდა სპეციალურ ლიტერატურას აღნიშნული მიმართულებით, მოიშველია ლექსიკონები და ძველი რუკები, როგორც ჭეშმარიტ მკვლევარს შეესაბამება, ადგილზე გასვლებითა და დარგის სპეციალისტებთან გასაუბრებითაც შეივსო ცოდნა, რათა ქართული თარგმანი ყოფილიყო ყოველმხრივ დაწურული და რეალობასთან მაქსიმალურად მიახლოებული. წარმოდგინეთ, აქ საუბარია არა მარტო ქართული, არამედ ლაზური, სომხური (ჰემ-შინში) და ბერძნული (ჭანეთში მრავლად სახლობდნენ ბერძნები) საკუთარი სახელების გათურქებულ-გაოსმალელებული ვერსიის აღდგენაზე. რამდენ დაკვირვებას, დაფიქრებას, ალღოსა და ინტუიციას მოითხოვს თუნდაც ერთი ტოპონიმისა და ანთროპონიმის ამოკითხვა. არადა, აქ საუბარია ასობით და ათასობით საკუთარ სახელზე!

დავთრების შესწავლა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ გარკვეული სიცხადე შეაქვს აღნიშნულ პერიოდში გვარების არსებობის მეცნიერებაში საკამათოდ მიჩნეულ საკითხში. ზ. შაშიკაძის შეფასებით, გვარების ერთი ნაწილი უკვე ჩამოყალიბებულია, ნაწილი კი ჩამოყალიბების პროცესშია (გვ. 16). მართალია, ამ მასალით ძნელი დასადგენია, თუ როდის დაიწყო ეს პროცესი, თუმცა, გარკვეული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას მაინც იძლევა: გვარის გაჩენა დაწინაურებული საზოგადოებრივი მდგომარეობის და გარკვეული სოციალური სტატუსის მანიშნებელია.

საინტერესოა რეგიონში მიწისმფლობელობის განსხვავებული ფორმის არსებობა. ბ-ნი ზაზას დაკვირვებით, ჭანეთში თიმარის, ზეამეთისა და ხასის გვერდით ჩანს ბაშთინას პირობით მფლობელობაც (მიწის მემკვიდრეობითი მფლობელობა გაყიდვა-გასხვისების უფლების გარეშე), რაც უფრო ბალკანეთში იყო გავრცელებული. მისივე სამართლიანი შენიშვნით, ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ აქაური მოსახლეობა ბერძნული ეკლესიის სამწყსო იყო და იგივე კანონმდებლობა მოქმედებდა, როგორც საბერძნეთსა და ბალკანეთში (გვ. 17).

ყურადღებას იქცევს რეგიონში ღვინის გვერდით, არყის გადასახადით დაბეგრვის შემთხვევები, რაც სხვა ქართულ პროვინციებში არ ფიქსირდება. აქ გვინდა გავიხსენოთ გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის, კარლ კოხის სტუმრობა ბათუმში 1836 წელს. მისი ცნობით, ოსმალთა ბატონობა აჭარაში ნომინალურ ხასიათს ატარებდა და შემოიფარგლებოდა მხოლოდ

მოსახლეობის მიერვე დადგენილი ხარკის გადახდით. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გადასახადის გადახდაზეც აცხადებდნენ უარს. ამიტომაც, მათთან მიმართებაში ოსმალეთის ხელისუფლება დიდ სიფრთხილესა და თავშეკავებულობას იჩენდა. მოსახლეობის უმეტესობა მუსლიმი იყო, თუმცა, გერმანელი მოგზაურის შენიშვნით, ისლამს ისინი უფრო ფორმალურად აღიარებდნენ, ძალიან უყვარდათ ღვინო და „თუ ახლოს მოლა არ ეგულებოდათ, სიამოვნებით შეექცეოდნენ სასმელს“ (ვ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბილისი, 1981). მართალია, აქ არცის მოხმარებაზე არაა საუბარი, მაგრამ ფაქტი, ვფიქრობთ, მაინც ნიშანდობლივია, მითუმეტეს თითქმის საუკუნენახევრის გადასახედიდან.

როგორც აღინიშნა, დავთრების შედგენის მთავარი დანიშნულება გადასახადების გაწერაში მდგომარეობდა, ამიტომაც გამოკვლევაში მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. გადასახადების ერთ ნაწილს იხდიდა მხოლოდ არამუსლიმი მოსახლეობა. მკვლევრის დაკვირვებულ თვალს არ გამოჰპარვია, რომ XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე ბათუმის ლივის დასავლეთ ნაწილში ისლამი უფრო მეტადაა გავრცელებული, ვიდრე მის აღმოსავლეთში, ჭოროხისპირაში კი სრულად ქრისტიანულ სოფლებსაც ვხვდებით. ზ. შაშიკაძე არ შემოიფარგლა მხოლოდ გადასახადების რაობის ჩვენებით და სამ საუკუნეზე მეტი ხნის წინ დავთრების შემდგენელთა მიერ დაჯამებაში დაშვებული შეცდომების „გასწორებაც“ იკისრა. თითქოს დიდი არაფერი, მაგრამ ჭეშმარიტი მეცნიერი ასეთ ლაფსუსებსაც არ აუვლიდა გვერდს და აკი არ აუარა კიდეც.

ბათუმის ლივის მოკლე დავთარი ერთგვარად ავსებს ვრცელში მოცემულ ინფორმაციას და განსხვავებულ ცნობებსაც გვაწვდის. იგი შედგა 1696 წელს, თუმცა, ბოლო მინაწერი გაკეთებულია 1864 წელს. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 1813 და 1864 წლის მინაწერებმა ბათუმის ნავსადგურის ჩრდილო-აღმოსავლეთით ახალი ქალაქის გაშენების თაობაზე. XIX საუკუნის 10-იან წლებში დაწყებული ეს პროცესი 60-იანი წლებისთვისაც არაა დასრულებული. 1864 წლის მინაწერში საუბარია საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობაზე, საცხოვრებელი ფართების გამოყოფასა და შედგენილ რუკაზე. არ არის გამორიცხული, რომ აქ ნახსენები რუკა იყოს ჩვენს მიერ სტამბოლის პრეზიდენტის ოსმალურ არქივში [COA, MVL 697/23] მიკვლეული და რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებული ჩვენი მონოგრაფიის (ბარამიძე ი., დიასამიძე ხ., ჯიბაშვილი ო., „ბათუმი ბრიტანეთის ვიცე-კონსულების ანგარიშებში (XIX საუკუნის 30-50-იანი წლები, ბათუმი, 2022)“ გარეკანზე დატანილი რუკა, რომელიც ბათუმის იმჟამინდელი რეალობისა და დაგეგმილი მომავლის ამსახველია.

ერთგვარი შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ორი დავთარი შეიცავს ფასდაუდებელ ცნობებს ჩვენი ქალაქის, მისი შემოგარენისა და მთლიანად საქართველოს ისტორიისათვის. ამ პირველწყაროების მთარგმნელმა და გამოკვლევის ავტორმა იზრუნა იმაზეც, რომ წიგნი გასაგები ყოფილიყო არამარტო მეცნიერთა გარკვეული წრისთვის, არამედ დაინტერესებული მკითხველისთვისაც. წიგნის ბოლოს დართული ტერმინთა განმარტებები სწორედ ამის დასტურია.

მთლიანობაში ნაშრომი მაღალ აკადემიურ დონეზეა შესრულებული. მის ყოველ გვერდზე იგრძნობა პროფ. ზ. შაშიკაძის მიერ წლების მანძილზე გაწეული დიდი შრომა და დახარჯული ენერგია, რასაც არა მარტო შეფასება, არამედ დაფასებაც სჭირდება. ბარაქალა მის

მონდომებასა და შემართებას. ამისთანა გამოცემა, ბუნებრივია, ვერ იქნება დაზღვეული ხარვეზებისგან, თუმცა ესეც მინიმუმამდეა დაყვანილი. მაგალითად, შეიძლება წარწერა წიგნის ყუაზე ახლებური წესით (ზემოდან ქვემოთ) გაკეთებულიყო, სატიტულო ფურცელზე თურქელის ნაცვლად ოსმალურიდან თარგმნა მითითებულიყო, თუმცა ყოველივე ეს უფრო გემოვნების საკითხია.

დასასრულ, მადლობა მინდა ვუთხრა ბ-ნ ზაზას ბათუმის ისტორიის უცნობი ფურცლების გაცოცხლებისთვის და ახალი შემოქმედებითი მიღწევები ვუსურვო.

IRAKLI BARAMIDZE

Doctor of History, Associate Professor
of Batumi Shota Rustaveli State University
N35 E. Ninoshvili st. Batumi, Georgia
ORCID: 0000-0001-7540-7006
erekle1770@hotmail.com
+995 577 30 40 20

In 2024, the publishing house “Universal” published a solid book – “Two Ottoman Defters about Batumi” (translation from Turkish, introduction, research and comments were added by Zaza Shashikadze). The study was conducted with the support of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Along with photocopies of the two Ottoman Defters, the researcher included in the study their digitized Ottoman version and a direct Georgian translation. In this way, he left the possibility, should certain questions arise, to check proper names or any fragments of text given in the translation, both in the original document and in its digital versions.

The book is quite large, contains 551 A4 pages, and consists of two parts: 1. “Extensive Defter of Batumi Liva“ (Georgian translation, Ottoman text, and photos); 2. “Short Defter of Batumi Liva“ (Georgian translation, Ottoman text and photos). It also contains an introduction, a review of Defters, an English summary, and definitions of terms.

The introduction briefly discusses the history of Batumi and the region before the Ottoman rule, according to Georgian and Turkish sources. Regarding defters, these documents, compiled for tax purposes, contain a variety of information and cover aspects such as the socioeconomic, political, demographic, and religious situation in a region during a given period.

The geographical area of the Extensive Defter compiled in 1704 includes present-day Batumi, 14 villages under the Batumi Liva, and three nahiyas, remaining still within the borders of the Republic of Turkey. It is obvious that Prof. Z. Shashikadze has done invaluable work in the decipherment of Georgian proper names (toponyms and anthroponyms) and has successfully overcome not only the difficult Ottoman (consonant) handwriting, but also the absence of diacritical marks in it, which, due to the inconsistency with Georgian phonetics, makes the Georgian correspondence even more multivariate.

The Short Defter of Batumi Liva complements the information given in the Extensive one and also provides us with different information. It was compiled in 1696; however, the last entry was made in 1864. These two Defters contain invaluable information for the history of our city, its surroundings, and the whole of Georgia.